ეკა ვარდოშვილი
ასოცირებული პროფესორი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

Eka.vardoshvili@tsu.ge

თამარ მეფის სახე ქართულ და ევროპულ ლიტერატურაში

ღვთისმშობლის პარადიგმული სახისმეტყველევა ორიგინალურ ქართულ მწერლობაში თავისებურად გამოვლინდა თამარ მეფის, ვითარცა პერსონაჟისა და ვითარცა სახე-იდეის წარმოდგენისას.

საისტორიო თხზულებებთან ერთად თამარის სადიდებლად შექმნილ სახოტბო ნაწარმოებებში „აბდულმესიანსა“ და „თამარიანში“ დედოფალი წარმოდგენილია სახელმწიფოებრივი და ღვთიური ნიშნებით.

„აბდულმესიანი“ ასე იწყება:

„სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან,
მომცეს მე სწავლა თქვენდა შემკობად“ (შავთელი 1988, 321).

„აბდულმესიანის“ ავტორი ამბობს, რომ თვით ღვთის ნებაა, რათა მან ხოტბა შეასხას თამარ დედოფალს:

„ძე ადამისი მსგავსად ამისი
ვისცა ეხილვონ, მამცნონ, სად არი“ (შავთელი 1988, 322).

მისი თვისებების ჩამოთვლისას იოანე შავთელი ხაზს უსვამს, რომ თამარი არის:

„შარავანდ-გმირი, ორგულთ გამგმირი,
მტერთა ქვესკნელად დამამხობელი,
რიტორი, ბრძენი, მეფეთა ძენი
ასპარეზთა ზედ მსპარაზნობელი“ (შავთელი 1988, 322).

აქ ავტორი წარმოაჩენს თამარის ადამიანურ სრულყოფილებას.

„აბდულმესიანში“ ერთი ისტორიული მომენტიცაა ყურადსაღები, ლიმონას დაპყრობა და ტრაპიზონის იმპერიის დაარსება. ჩვენ ვიცით, რომ „თამარანსა“ და „აბდულმესიანში“ აღწერილ ბრძოლებში თამარი არსად არ მარცხდება.

პირიქით, მისი ყოველი გამარჯვება მესიანისტურ იდეას ემსახურება.

ჩახრუხამე თამარის დახასიათებისას აღნიშნავს:

„თამარ წყნარი, შესაწყნარი,
ხმა-ნარნარი, პირ-მცინარი,
მზე-მცინარი, საჩინარი,
წყალი მქნარი, მომდინარი
მისთვის ქნარი რა არს? - ქნარი
არსით მთქნარი, უჩინარი,
ვარდ-შამბნარი, შამბ-მაღნარი,
ღაწვ-მწყაზარი, შუქ-მფინარი“ (ჩახრუხაძე 1988, 355).

როგორც „თამარიანში“, ასევე „აბდულმესიანში“ თამარი შემკულია ღვთისმშობლის სიმბოლოებით. თვით ქრისტე მფარველობს თამარს ღვთისმშობლის მსგავსად. კაცობრიობაც ხომ თამარის მოვლინებაში ხედავს ისტორიის შემდგომი განვითარების მიზანს. ადამიანის თვა-

ლისათვის უხილავია თამარის მშვენიერება, იგი გონებითაა წარმოსადგენი, რაც მეტი წარ-მოსახვის საშუალებას იძლევა. მას ქვეყნად ვერვინ შეედრება.

აღსანიშნავია ისიც, რომ „თამარიანშიც“ და „აბდულმესიანშიც“ პერსონაჟები წარმოდგე-ნილნი არიან ღვთიური ნათელმოსილებით. ამ მხრივ გამოიყოფა ანალოგიები ორი სახისა. „მზე-ქრისტე“ და „ნათელი-ქრისტე“. მათი ანალოგიებია მზე-თამარი და ნათელი თამარი“ (ვარდოშვილი 2010, 61).

„თამარიანში“ დედოფალი მზიური ნათელმოსილებითაა შემკული, როდესაც ავტორი ამბობს:

„ნაელვებითა, მზისა ვნებითა
ცისკროვნად ვხედავ შუქ-მოსიერსა,
აჰა, მზიანად, მიზეზიანად
მთვარესა გაჰხდი უნათლიერსა“ (ჩახრუხაძე 1988, 350).

„აბდულმესიანში“ ვკითხულობთ:

„ვისცა უგმირეს, მისთვის უგმირეს
არს ეს ყოველთა თვით-მპყრობელთასა,
ღმრთისა სამ-მზისა, ვინ ზესთ სამ-ზისა -
ეთერ, სამყაროთ და ღრუბელთასა“ (შავთელი 1988, 328).

როგორც რ. სირაძე შენიშნავს, „ქრისიტანობამ მზისა და ვაზის სიმბოლიკა მოიხმა. განსახოვნების ძველი ფორმები გამოიყენება ვითარცა არქეტიპები და ახალ ესთეტიკას შეურწყა. ქრისტიანობა არ იცნობდა არც საკუთრივ მზისა და არც საკუთრიც ვაზის თაყვა-ნისცემას. მაგრამ ქართულ ესთეტიკაში შეუძლებელი იყო არ დამკვიდრებულიყო საკუთრივ მზისა და საკუთრივ ვაზის სილამაზე და ამიტომაც ჩააწნეს ჩუქურთმაში ვაზი. ვაზისა და მზის ესთეტიკა საბოლოოდ დაამკვიდრეს.

წარმართულ წარმოდგენას - ყურძნის მარცვალში მზე იხედებაო - ცვლის ქრისტიანული სიმბოლიკა: „მე ვარ ვენახი და მამაი ჩემი მოქმედ არს“ (სირაძე 987, 15).

იოანე შავთელს ეკუთვნის აგრეთვე „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“. იოანე შვთელმა ბასიანის ომში ქართველთა გამარჯვებას მიუძღვნა როგორც „აბდულმესიანი“, ასევე „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“.

აღსანიშნავია, რომ თამარის პორტრეტში, რომელიც შესრულებულია ვარძიის მიძინების ტაძრის აღმოსავლეთის კედელზე, მნიშვნელოვანია ორი რამ: პირველი, ფრესკაზე ნაჩვენებია თამარის არა მხოლოდ მეფური, არამედ ადამიანური მიმზიდველობაც. ეს სიახლე უნდა იყოს. სიახლე შეინიშნება „გალობანშიც“. მეორე, თამარს ხელთ უპყრია მიძინების ტაძრის მაკეტი, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ თამარი მოიაზრება როგორც სულიერი მფარველი ტაძრისა, ღვთისმშობლის ნების აღმსრულებელი.

იოანე შავთელი „გალობანის“ შესავალში წერს: „ზესთა დიდებისა აღმატებულო და ან-გელოზთა და კაცთა დიდებად შენდა, ვითარ შობისა ქალწულებისა, შემაერთებელო ყოვლად წმიდაო ღმრთის-მშობელო, ვარძიისა მოსახელესა ტაძარსა შენსა შინა მგალობელი ვინმე შენი მაცხოვნე და მიხსენ მე სულიერი ტყვეობისაგან“ (შავთელი 1979, 192).

ვარძია მთელი საქართველოს უდიდესი სალოცავი გახდა. ვარძიის რელიგიური ცენტრი იყო ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, აქედან ჩანს, რომ ავტორი სულიერი ტყვეობისაგან დახსნას მოელის, როგორც ღვთისმშობლისაგან, ასევე თამარისაგანაც.

„თუ იოანე შავთელი „გალობანში“ სიმბოლურად თამარის სახეს დავინახავთ და მას და-ვუკავშირებთ მიძინების ტაძარში თამარის ფრესკელ გამოსახულებას. ვნახავთ, რომ მათ აერ-თიანებთ ერთი იდეა, იდეა მფარველობისა და ხსნისა. ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ, რომ „გა-ლობანში“ თამარი ძირითადად დახასიათებულია ორი ნიშნით, როგორც „დედოფალი“ და „ქალწული“.

ვარძიის ფრესკაზე თამარ მეფე გამოხატულია წმინდანის სახითა და შარავანდედით. ისე რომ იგულისხმება მის წინაშე მლოცველის ვედრება, როგორც ღვთისმშობლის წინაშე ხდებოდა“ (ვარდოშვილი 2010, 80).

ამ იდეის საუკეთესო გამოხატულებად XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში შეგვიძლია მივიჩნიოთ გრიგოლ ორბელიანის ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“.

მ. კაკაბაძე შენიშნავს, რომ „გავარკვიოთ ქართული რომანტიზმის საფუძვლები უნდა მივმართოთ აუცილებლად ქართული ენის ისეთ ცნობილ ძეგლებს, როგორიცაა ქართული საგალობლები, დავითნი, ძველი და ახალი აღთქმის წიგნები“ (კაკაბაძე 1983, 90).

საზოგადოდ, რომანტიზმი არა მარტო აგრძელებს ძველი ქართული ლიტერატურის ტრადიციებს. არამედ რომანტიკოსთა შემოქმედებაში მოხდა შეწყმა მხატვრული სიტყვის სიდიადისა და ეიკონური სახეებისა. ყოველივე ამის ბრწყინვალე ნიმუშია გრიგოლ ორბელიანის ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“.

ბეთანიის ეკლესიაში მუხლმოდრეკილი პოეტი შესცქერის თამარის ფრესკას და ევედრება მას, ვითარცა ღვთისმშობელს, აღადგინოს დანგრეული საქართველო. ლექსში ლირიკული სუბიექტი თავად პოეტია. იგი წარმოგვიდგება როგორც მაღალი არისტოკრატიული ტრადიციების მქონე პიროვნება. მისი საუბარი არქაიზმებითაა სავსე. ლექსს აქვს დეისისი ანუ ვედრების შინაარსი. ლექსში ცვალებადია პოეტის განწყობა.

„შენს წმინდა სახეს,
შვენებით სავსეს,
სახიერებით განსხივებულსა,
ვუმზერ კრძალვითა,
თაყვანცემითა,
ცრემლ-მორეული ვემთხვევი ფერხთა“ (ორბელიანი 1989, 170).

ავტორი საღვთო ეპითეტებით ამკობს თამარს. „წმინდა“ და „სახიერი“ ღვთაების ნიშნებია. თითქმის იგივე საღვთო სიმბოლოებით იხსენიებს გრ. ორბელიანი თამარს პოემაში „სადღეგრელო“.

საზოგადოდ, გვინდა შევნიშნოთ, რომ თამარ მეფის პარადიგმული სახისმეტყველება დამახასიათებელია XIX საუკუნის ქართული პოეზიისათვის. რომანტიკოსები, ისევე როგორც რეალისტების წარსულში ეძიებენ მომავლის იმედს. ამიტომ ხშირად მიმართავენ თამარის ლიტერატურულ პარადიგმას, როგორც მფარველისა და მხსნელის, რომელმაც უნდა აღადგინოს დაცემული საქართველო. XIX საუკუნის ქართველმა პოეტებმა რელიგიური იდეალები შეურწყეს ეროვნულს, უცვლელი დარჩა ღვთისმშობლის იდეალი, რომელიც ყველა ეპოქამ გაითავისა და თავისებურად გააშინაარსა.

თამარი სახეს, როგორც საქართველოს დიდების სიმბოლოსი, ვხვდებით ასევე ალ. ჭავჭავაძის ერთ-ერთ უსათაურო ლექსში (ჰე, საქართველო, პტოლემეს დროს აღყვავებული!).

ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში თამარის ხატება ჩანს ლექსებში: „იმედი“, „არის ადგილი“, „ობოლი“.

„XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში თამარ მეფის სახისმეტყველება ძირითადად ორგვარად ვლინდება. პირველი: თამარს მოიხსენიებენ როგორც სახელმწიფო მოღვაწე დავით აღმაშენებლისა და შოთა რუსთაველის გვერდით, ხშირად ხაზგასმულია, რომ სწორედ თამარია შოთას შთაგონების წყარო და მეორე, თამარი შემკულია საღვთისმშობელო სიმბოლოებით. მას მიმართავენ როგორც ღვთისმშობელს“ (ვარდოშვილი 2010, 66).

თამარის ტრადიციული პარადიგმული სახისმეტყველება თავს იჩენს ილია ჭავჭავაძის პოეზიაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსი „ბაზალეთის ტბა“, სადაც უმთავრესია ის, რომ ყრმა რომელიც აკვანში წევს, თამარ მეფის მიერ არის ხელდასმული. პოემების „აჩრდილსა“ და „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ პირვანდელი ესკიზებსა და ვარიანტებში.

თამარ მეფის ლიტერატურულ პარადიგმას საკმაოდ ჭარბად ვხვდებით აკაკი წერეთლის პოეზიაში. თამარი მის ლირიკულ ქმნილებებში არის წმინდა მხედარ ქალთა ტრიადის ერთ-ერთი წევრი, წმინდა ნინოსა და ქეთევან დედოფალთან ერთად. „წმინდა მხედარ“ ქალთა სახეებს ვხვდებით ლექსებში „ტ. ბაგრატიონის ალბომში“, „სიზმარი“, „ჩემი ლოცვა“, „ქებათა-ქება“. თუმცა, ლექსებში „სიზმარი“, „ცოცხალი სურათები“ და სხვა თამარის ხატება დამოუკიდებლადაც ჩანს, აქ პოეტი აცოცხლებს „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს გვიხატავს თამარისა და რუსთაველის ეპოქას.

თამარის სახისმეტყველება ვაჟა-ფშაველას არაერთ ლექსში ჩანს: „ჩივილი ხმლისა“, „მთვარეო, ბევრმა გიმღერა“, „მოფრინდა უცხო ფრინველო“, „ჩვენება“, „ფშველი ჯარისკაცის წერილი“, გვინდა გამოვყოთ ლექსი „დიდი თამარი“.

„ქალო, ქართველთა სულის დგმავ,
ქალო ქართველთა დედაო!
ტყუილად ვამბობთ შენს სიკვდილს,
თამარს ცოცხალსა გხედაო.
რუსთველის ქებას ჩვეულო,
მეც ქებას გაგიბედაო.
* * * * * * * * * * * * *
შენა ხარ ერის სიცოცხლე
თავი არ მომიკვდებაო!
მოწყალედ გვექმენ ქართველთა,
ჩვენო ლამაზო დედა!“ (ვაჟა-ფშაველა 1960, 305).

აქ თამარის სახელი მარადიულობას უკავშირდება და პოეტი მისგან მფარველობას ელოდება, იხსენებს რუსთველის ეპოქას.

როგორც ვნახეთ, თამარის სახე ქართულ-ლიტერატურაში დაკავშირებულია საქართველოს დიდებასთან და ხშირად პოეტები მიმართავენ მას, როგორც მფარველსა და მხსნელს.

თამარის სახე იქცა პარადიგმად. რომელიც დამახასიათებელია როგორც ქართული, ასევე ევროპული ლიტერატურისათვის.

ევროპელი ავტორებიდან თამარ მეფის სახეს ვხვდებით ალ. დიუმას „კავკასიაში“.

„დიუმა ცდილობს, რომ საქართველოში მომხდარი ყველა ფაქტი და მოვლენა დაუკავშიროს ევროპულ სინამდვილეს, გაავლოს პარალელი მათ შორის“ (ვარდოშვილი 2022, 19).

თხზულებაში ჩანს, რომ დიუმა კარგად იცნობს საქართველოს გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, მის ისტორიას. თავში „თამარ მეფის ციხე“ იგი წერს: „თამარ მეფე საქართველოში ყველაზე საყვარელი და პოპულარული პიროვნებაა, იგი თანამედროვეა საფრანგეთის მეფის წმინდა ლუდოვიკოსი და ისიც მასავით, მაგრამ უფრო ბედნიერად მთელი სიცოცხლე შეუპოვრად ებრძოდა მაჰმადიანებს. ისევე, როგორც ნორმანდიაში ყველა ძველ ციხეს ეშმაკი რობერტის სახელი ჰქვია, საქართველოში ყველა ძველ ციხეს თამარ მეფის სახელს მიაწერენ. საქართველოში ასორმოცდაათამდე ძველი ციხეა, რომელთაგან ზოგი ერთ მეფეს ეკუთვნოდა, ზოგიც მეორეს, ზოგი კიდევ რომელიმე მთავარს. აღსანიშნავია ის, რომ ყველა ეს ძველი ძეგლები ულამაზეს ადგილებში არიან აგებულნი და საუცხოო შესახედაობას ქმნიან“ (დიუმა 1964, 259).

მნიშვნელოვანი ისიც, რომ დიუმა ზუსტად განსაზღვრავს თამარის ღვაწლსა და დამსახურებას, მის ადგილს საქართველოსა და მსოფლიო ისტორიაში.

წიგნში „საქართველოს სამეფო“ „ყველაზე ვრცლად და საინტერესოდ უორდროპი თამარ მეფეზე საუბრობს. საკითხისადმი ასეთი მიდგომა დამახასიათებელია ევროპული ლიტერატურისათვის. უორდროპი შენიშნავს, რომ იგი მამისეულ ტახტზე 1184 წელს ავიდა და 28 წელი იმეფა. რელიგია იყო მისი მამოძრავებელი ძალა, თამარი გამოირჩეოდა თავისი კეთილ-

შობილური თვისებებით, ქველმოქმედებით, საშინაო საქმეებისადმი დიდი ყურადღებით. თუმცა, მისი მოღვაწეობის ძირითად პრიორიტეტად საგარეო პოლიტიკას მიიჩნევს“ (ვარდოშვილი 2022, 34). „სამხედრო ლაშქრობებმა, რომელსაც ის აწარმოებდა მთელ აზიაში გაუთქვა მას სახელი: ერზრუმმა, დვინმა, ტრაპეზუნდმა, სინოპმა, სამსუნმა, ყარსმა ნახა ქართული შეიარაღებული ძალების ტრიუმფი. თამარი არ დაკმაყოფილდა თავისი ქვეყნიდან მაჰმადიანთა განდევნით, მან ელჩები დაგზავნა ქრისტიანულ გაერთიანებებში - ალექსანდრიაში, ლიბანში, სინას მთაზე, იერუსალიმში, კვიპროსში, საბერძნეთსა და რუმინეთში, და საჭიროების შემთხვევაში თავისი დახმარება შესთავაზა. იმისათვის, რომ თეოლოგიაში უზრუნველეყო თავისი ხალხის მართლმადიდებლობა, მან ბრძანა, მოეწყოთ საჯარო პაექრობა ქართული და სომხური ეკლესიების მესვეურთა შორის“ (უორდროპი 2001, 125-127).

უორდროპი თამარის ლიტერატურულ ნიჭსა და ქალურ თვისებებზეც საუბრობს: „როცა ბრძოლას მოიგებდა, დებორას მსგავსად, შეეძლო თავისი ტრიუმფის შესახებ ყველასთვის მოეთხრო ტკბილი, აღფრთოვანებული ჰიმნით. თუმცა, თამარ მეფე, უმთავრესად, ცნობილია როგორც მგოსანთა მფარველი და შთამაგონებელი“. (უორდროპი 2001, 129).

უორდროპი თამარის სახეს უკავშირდება რუსთველის „ვეფხისტყაოსანს“, შავთელისა და ჩახრუხაძის ქმნილებებს. განიხილავს ასევე გრიგოლ ორბელიანის ლექსს „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“.

და ბოლოს, გვინდა დავასრულოთ ა. ლაისტის სიტყვებით. წერილს „ქართული ლიტერატურა“ ლაისტი საქართველოზე საუბრით იწყებს: „შორს, აღმოსავლეთისაკენ, კასპიისა და შავ ზღვას შუა, ძველი კოლხეთის ვაკეებზე პატარა ერი ცხოვრობს. ბევრმა არ იცის მისი წარსული. დასავლეთში არც ახლა ექცევა სათანადო ყურადღებით მისი თანამედროვე კულტურის განვითარებას. ეს ერი ქრისტიანი ერია - ქართველები (როგორც ისინი თავის თავს უწოდებენ). ქართველები მრავალი საუკუნის განმავლობაში იცავდნენ ევროპასა და აზიას შორის გადებულ ამ ბუნებრივ ხიდს სპარსელთა, არაბთა და თურქთა წინააღმდეგ და ამ ბრძოლებში უფრო მეტი სიმტკიცე და გამძლეობა გამოიჩინეს, ვიდრე ევროპელმა ჯვაროსნებმა პალესტინაში. ამ ერის ბრძოლების ისტორია ეს არის ქრისტიანული რაინდობის ძლევამოსილების ისტორია... ძველი საქართველოს ბრძოლების უმთავრესი მიზეზი სარწმუნოება და მამულის დაცვა იყო. ამიტომ, სარწმუნოება და რაინდობა ორი დედაბოძი და შუასაუკუნეობრივი ქართული საზოგადოებრივი ურთიერთობისა. სიმცირის გამო ამ ერის ისტორია სათანადოდ ვერ აისახა მსოფლიო ისტორიაში, თუმცა, ეს ხალხი სახელოვნად ასრულებდა თავის მისიას კაცობრიობის წინაშე“ (ლაისტი 1963, 176). ლაისტი ზუსტად განსაზღვრავს საქართველოს ადგილს მსოფლიო ისტორიაში.

ამრიგად, თამარ მეფის სახე არის ლიტერატურული პარადიგმა, რომელიც დამახასიათებელია როგორც ქართული, ასევე ევროპული ლიტერატურისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დიუმა, ალექსანდრე. 1964. კავკასია. ფრანგულიდან თარგმნა თინათინ ქიქოძემ. თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“.
2. ვარდოშვილი, ეკა. 2010. პოეტური თანხვედრანი. თბილისი: „ბარტონი“
3. ვარდოშვილი, ეკა. 2022. ქართულ-ევროპული ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიიდან. თბილისი: „უნივერსალი“.
4. ვაჟა-ფშაველა. 1960. თხზულებანი. თბილისი: „საბჭოთა მწერალი“.
5. კაკაბაძე, მანანა. 1983. საქართველოს გული. თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“.
6. ლაისტი, არტურ. 1963. საქართველოს გული. თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“.

7. ორბელიანი, გრიგოლ. 1989. საღამო გამოსალმებისა. თბილისი: „მერანი“.
8. სირაძე, რევაზ. 1987. ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები. თბილისი: „განათ-ლება“.
9. უორდროპი, ოლივერ. 2001 საქართველოს სამეფო. ინგლისურიდან თარგმნა მერაბ ურუშაძემ. თბილისი.
10. შავთელი, იოანე. 1988. „აბდულმესიანი“, ქართული მწერლობა. ტ. III. თბილისი: „ნაკადული“.
11. შავთელი, იოანე. 1979. „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი, ქართული პოეზია, ტ. I თბილისი: „ნაკადული“.
12. ჩახრუმაძე. 1988. „თამარიანი“. ქართული მწერლობა, ტ. III. თბილისი: „ნაკადული“.